მანანა გაბაშვილი

ევროპული ,,ოქროს საწმისის" ორდენი და ანტიოსმალური კოალიციები

რეზიუმე

ევროპაში ,,ოქროს საწმისის" ორდენის ისტორია XV საუკუნიდან იღებს სათავეს. ამ ორდენის დაარსება ფილიპე III კეთილი ბურგუნდიელის სახელთან არის დაკავშირებული. ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ აიღეს ევროპელებმა მთავარ ევროპულ ჯილდოდ ორდენი, რომელიც ევროპის ყველა სამეფოს უმაღლეს ორდენს აღემატებოდა, თანაც სახელწოდებით ,,ოქროს საწმისი", რომელსაც კოლხურ სამყაროსა და კოლხეთის ზღვაოსნობასთან, შავ ზღვასთან მივყავართ. ცხადია, ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, თუ გავითვალისწინებთ ,,ოქროს საწმისის" შექმნის დროს. ვფიქრობთ, ეს ასევე არის შუა საუკუნეებში საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფურცელი, რაც სიღრმისეულ კვლევას ითხოვს, მით უმეტეს საზღვაო თემებთან კავშირში, რასაც შავი ზღვის ისტორიასთან მივყავართ.

აღსანიშნავია, რომ წარსულის რომანტიზაცია როგორც ევროპაში, ისე საქართველოში, სხვადასხვა დროს ანტიოსმალური კოალიციების პერიოდშიც შეინიშნებოდა. ამავე დროს ,,ოქროს საწმისი" მსოფლიოში გამორჩეულია თავისი ცნობადობითა და პოპულარობით. ანტიოსმალური კოალიციის პერიოდში ოქროს საწმისსა და ქართულ სამყაროზე მინიშნება, ჩვენი თვალსაზრისით, კარგად იყო გათვლილი და შორს გამიზნულ პოლიტიკას ემსახურებოდა, რაც ევროპელებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. ევროპელთა მხრიდან კი საქართველოსადმი ინტერესი ანტიოსმალური კოალიციების პერიოდში რამდენიმე ფაქტორით უნდა ყოფილიყო განპირობებული. პირველ რიგში, საქართველოს გეოპოლიტიკით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე მდებარეობით, საქართველოს ახლო აღმოსავლეთთან, მსოფლიოს ამ ცხელ წერტილთან კავშირით, სადაც მაშინაც მაშინდელი მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანეს პროცესებს ჰქონდა ადგილი და საიდანაც, განსაკუთრებით 1453 წლიდან, ოსმალთა მხრიდან ქრისტიანული სამყაროსთვის საერთო საფრთხეები მომდინარეობდა. ამიტომაც საქართველო ქრისტიანული სამყაროს დაცვის უმნიშვნელოვანეს კერასა და ფორპოსტს წარმოადგენდა, რაზეც იდგა ევროპული და ქართული ცივილიზაცია. ეს შესანიშნავად ესმოდათ მაშინდელ ევროპელებს, რომლებიც საქართველოს დასავლეთის ნაწილად განიხილავდნენ. რაც მთავარია, აღნიშნული რეგიონი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დიდ პოლიტიკას, რომელზეც გამავალი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მაგისტრალები მათი დაუფლების სურვილს აღძრავდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში, მათ შორის ქართველებშიც. ამასთანავე შავი ზღვა ხმელთაშუა ზღვასთან ერთად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკასა და საერთაშორისო ვაჭრობაში.

საკვანძო სიტყვები: *„ოქროს საწმისი", შავი ზღვა, საქართველო, ანტიოსმალური კოალიციები, ევროპელი მისიონერები*

შუა საუკუნეებში საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული თვალსაზრისით არის საინტერესო და საყურადღებო. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანი ანტიოსმალური კოალიციების ხანაა, თუმცა ის, რაც ამ პერიოდის ხელოვნებას უკავშირდება, როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ისე საქართველოში ნაკლებად არის შესწავლილი.

ანტიოსმალურ კოალიციებს მყარი საფუძველი 1453 წლიდან ეყრება, ოსმალთა მიერ ბიზანტიის იმპერიის დამხობისთანავე. როგორც ცნობილია, ამ კატასტროფამ შეცვალა მსოფლიოს სურათი და

ძალთა გადანაწილება. საფრთხეებმა, რომელიც ამ კატასტროფას მოჰყვა, ბიძგი მისცა საქართველოს ევროპასთან კიდევ უფრო დაახლოებას, ევროპეიზაციის მზარდ ტენდენციებს, რომელიც სხვადასხვა სფეროზე, მათ შორის კულტურაზეც აისახა. სწორედ ამ მოვლენების ანალიზმა მიგვიყვანა სვეტიცხოვლის იმ ფრესკის (XVII ს.) ახსნასთან, რომელზეც ზღვა და აფრიანი ხომალდები მათზე ერთჯვრიანი დროშებითაა გამოსახული. აღნიშნული ფრესკა, რომლის მსგავსიც საქართველოში არსად გვხვდება და თავისი უჩვეულობით გამოირჩევა, რამდენიმე მიზეზის გამო ვერ გაიშიფრა. გარდა იმისა, რომ ის არ იქნა გააზრებული ევროპეიზაციის პროცესების ჭრილში, მხედველობაში არ იქნა მიღებული საზღვაო ფაქტორიც, საქართველოს საზღვაო ინტერესებისადმი დამოკიდებულება და საზღვაო პოლიტიკა. ამასთანავე ეს პრობლემები არ იქნა განხილული საქართველოს ისტორიის მთლიან კონტექსტში და, ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ჭრილში, ასევე ანტიოსმალური კოალიციების კუთხით [1].

სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ფრესკაზე, კვლევის პროცესში, ის ცალკეული ნიშნები და სიმბოლოები დავინახეთ, რაც დასავლეთის ხელოვნებისთვის იყო ნიშანდობლივი ანტიოსმალური კოალიციების პერიოდში. ეს ნიშნები დასავლეთთან პირდაპირი კონტაქტების შედეგად მიგვაჩნია [2]. ფრესკის ზოგად კონტექსტში და ეპოქის ჭრილში განვიხილავთ აღნიშნულ ფრესკაზე გამოსახულ დროშებსაც. პარალელს ვავლებთ სამეგრელოში, კორცხელის ტაძრის ფასადზე (XVIIs.) დადასტურებულ ანალოგიურ დროშასთანაც.

ახლახან მხატვარმა ჰერალდიკოსმა ზაქარია კიკნაძემ ევროპულ ლიტერატურაში ცნობილი, უაღრესად საინტერესო და საყურადღებო მასალა შემოიტანა. ეს არის ,,ოქროს საწმისის“ ევროპული ორდენი [3] . ამ ინფორმაციამ ჩვენი, როგორც ისტორიკოსის ცხოველი ინტერესი გამოიწვია და კიდევ უფრო გაგვიფართოვა წარმოდგენები მაშინდელ პოლიტიკურ პროცესებზე. ეს ორდენი საინტერესოა სხვადასხვა თვალსაზრისით. ირიბად შავი ზღვის ისტორიის გარდა, საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობისა და ანტიოსმალურ კოალიციებთან კავშირის მხრივ. ასე რომ, საქმე გვაქვს ქართული მეცნიერების ახალ ფურცელთან, რაც პროპაგანდასა და პოპულარიზაციას საჭიროებს. ამიტომაც ამ თემას მიზანმიმართულად მოვკიდეთ ხელი.

ცხადია, აღნიშნული ორდენის სახელწოდება უკვე დიდ ინტერესს იწვევს, მით უმეტეს, რომ ქართულ სამყაროზე, უძველეს კოლხეთსა და შავ ზღვაზე მინიშნებაა. ამასთანავე საქართველოს საინტერესო საზღვაო ქვეყნად წარმოაჩენს, რასაც საერთაშორისო დონეზე ოდითგანვე ფართო რეზონანსი ჰქონდა.

ევროპაში ,,ოქროს საწმისის” ორდენის ისტორია XV საუკუნიდან იღებს სათავეს. მისი მფარველი ღვთისმშობელი და ანდრია პირველწოდებულია, დევიზი კი ,,ჯილდო არ ჩამოუვარდება საქმეს”. მის განაწესში ხაზგასმულია, რომ ორდენი რაინდობისა და გამორჩეული სიყვარულისა და კეთილგანწყობის გამო დაარსდა. ორდენის წევრებს სპეციალური სამოსი ეცვათ, რაც XV საუკუნიდან მოყოლებული არ შეცვლილა. ამ ორდენის დაარსება ფილიპე III კეთილი ბურგუნდიელის სახელთან არის დაკავშირებული, რომლის შემოღებაც მან საკუთარ ქორწილს მიუსადაგა (1430w. 10 იანვარი) იმ დროს, როდესაც ფილიპე კეთილის სამთავრო შვეიცარიიდან ნიდერლანდებამდე გადაჭიმული, ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი იყო.

ფილიპე კეთილი ანტიკური მითების დიდი მოყვარული ყოფილა, განსაკუთრებით იზიდავდა ლეგენდა ,,ოქროს საწმისის“ შესახებ, რომელიც თავისი ოჯახის ისტორიას მიუსადაგა. კერძოდ, თუ როგორ გაიარა მისმა ერთ-ერთმა წინაპარმა არგონავტების გზა და კოლხეთში ჩავიდა, სადაც ტყვედ

[1] მანანა გაბაშვილი, „ზღვა და აფრიანი ხომალდები ქართული დროშებით სვეტიცხოვლის ფრესკაზე“, ,,ჰეროლდი”, 5 (2005): 23.

[2] მანანა გაბაშვილი, „დასავლეთის მხატვრობის გავლენა სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ამსახველ ფრესკაზე“, ქართველოლოგია, 2 (2020): 33-50.

[3] ზაქარია კიკნაძე, ,,ოქროს საწმისის“ ორდენის, ისტორია, ,,ჰეროლდი“ (2020): 76-86.

ჩავარდა. ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება, რასაც ჩვენი კვლევისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ფილიპე კეთილი ამ ლეგენდასა და ოსმალების წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობას შორის კავშირს თავიდანვე ხედავდა. მნიშვნელოვანია შემდეგ ფაქტიც; თუკი ოსმალების წინააღმდეგ პაპის მიერ დაგეგმილი ჯვაროსნული ლაშქრობა არ ჩაიშლებოდა, იგი მასში მონაწილეობის მიღებას აპირებდა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ აიღეს ევროპელებმა მთავარ ევროპულ ჯილდოდ ორდენი, რომელიც ევროპის ყველა სამეფოს უმაღლეს ორდენს აღემატებოდა, თანაც სახელწოდებით ,,ოქროს საწმისი", რომელსაც, როგორც ითქვა, კოლხურ სამყაროსა და კოლხეთის ზღვაოსნობასთან, შავ ზღვასთან მივყავართ. ცხადია, ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, თუ გავითვალისწინებთ ,,ოქროს საწმისის" შექმნის დროს, რასაც საგანგებოდ შევეხებით. ვფიქრობთ, ეს ასევე არის შუა საუკუნეებში საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფურცელი, რაც სიღრმისეულ კვლევას ითხოვს, მით უმეტეს საზღვაო თემებთან კავშირში, რასაც შავი ზღვის ისტორიასთან მივყავართ.

აღსანიშნავია, რომ წარსულის რომანტიზაცია როგორც ევროპაში, ისე საქართველოში, სხვადასხვა დროს ანტიოსმალური კოალიციების პერიოდშიც შეინიშნებოდა. ამავე დროს ,,ოქროს საწმისი" მსოფლიოში გამორჩეულია თავისი ცნობადობითა და პოპულარობით. ანტიოსმალური კოალიციის პერიოდში ოქროს საწმისსა და ქართულ სამყაროზე მინიშნება, ჩვენი თვალსაზრისით, კარგად იყო გათვლილი და შორს გამიზნულ პოლიტიკას ემსახურებოდა, რაც ევროპელებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. ევროპელთა მხრიდან კი საქართველოსადმი ინტერესი ანტიოსმალური კოალიციების პერიოდში რამდენიმე ფაქტორით უნდა ყოფილიყო განპირობებული. პირველ რიგში, საქართველოს გეოპოლიტიკით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე მდებარეობით, საქართველოს ახლო აღმოსავლეთთან, მსოფლიოს ამ ცხელ წერტილთან კავშირით, სადაც მაშინაც მაშინდელი მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანეს პროცესებს ჰქონდა ადგილი და საიდანაც, განსაკუთრებით 1453 წლიდან, ოსმალთა მხრიდან ქრისტიანული სამყაროსთვის საერთო საფრთხეები მომდინარეობდა. ამიტომაც საქართველო ქრისტიანული სამყაროს დაცვის უმნიშვნელოვანეს კერასა და ფორპოსტს წარმოადგენდა, რაზეც იდგა ევროპული და ქართული ცივილიზაცია. ეს შესანიშნავად ესმოდათ მაშინდელ ევროპელებს, რომლებიც საქართველოს დასავლეთის ნაწილად განიხილავდნენ. რაც მთავარია, აღნიშნული რეგიონი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დიდ პოლიტიკას, რომელზეც გამავალი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მაგისტრალები მათი დაუფლების სურვილს აღძრავდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში, მათ შორის ქართველებშიც. ამასთანავე შავი ზღვა ხმელთაშუა ზღვასთან ერთად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკასა და საერთაშორისო ვაჭრობაში.

ევროპელი მისიონერები, რომლებიც საქართველოში კონკრეტული დავალებებით ჩამოდიოდნენ, საქართველოს ისტორიის თავისებურებასა და სპეციფიკასთან ერთად, ქართველების მიერ ამ რეგიონის ცოდნასა და გამოცდილებასაც ითვალისწინებდნენ. ასევე ბაგრატიონთა დინასტიისთვის დამახასიათებელ განათლებას, სწორ ხედვასა და ანალიზს, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში ქმედით იარაღს წარმოადგენდა ქვეყნის შიდა თუ საგარეო პრობლემების მოგვარებისას. ყოველივე ეს ნათლად ჩანს ,,ქართლის ცხოვრებიდან", რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძვირფასეს წყაროდ არის მიჩნეული. ამდენად, წინაპართა გამოცდილება, რითაც საქართველომ ურთულეს გამოწვევებს გაუძლო დღემდე მნიშვნელოვანია და აქტუალური.

ვინაიდან მაშინდელ ევროპელებს კარგად ესმოდათ საქართველოს, როგორც პლაცდარმის მნიშვნელობა მაჰმადიანურ სამყაროსთან მიმართებაში, ისინი მხარს უჭერდნენ ძლიერ და ერთიან საქართველოს. ეს ნიშნავს, რომ მათი საქართველოსადმი დამოკიდებულება პრაქტიკული და პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული, რასაც დასავლური წყაროებიც ადასტურებენ.

როდესაც საქართველოში ჩამოსული ევროპელი მისიონერები დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოსა და მისი ისტორიისადმი, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ მედეასა და

არგონავტებზე. ამას გარდა საგანგებოდ აღნიშნავდნენ ქართველების ამაყ და თავმოყვარე ბუნებას, მებრძოლ ხასიათსა და სულისკვეთებას მტერთან ბრძოლაში. იმასაც აღნიშნავენ, ქართველი თავშეკავებული და გაწონასწორებულია, მაგრამ არავის მოუთმენს მის მიმართ შეურაცხმყოფელ ქმედებებს [4]. მათ ისიც იციან, რასაც ხაზს უსვამენ, რომ ოსმალებმა ყველაზე დიდი მარცხი და კატასტროფა ქართველებთან ბრძოლებში განიცადეს. მაგრამ ამას ისინი ზოგადქრისტიანულ ჭრილშიც ხედავდნენ და განიხილავდნენ. მაგალითად, 1598წ. რომის პაპი კლიმენტი VIII აღნიშნავდა, რომ ქართლის მეფე სიმონ I წარმატებით იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ და ქრისტიანებს იცავდა. ვფიქრობთ, ამანაც განაპირობა, რომ ევროპელებმა ანტიოსმალური კოალიციის გეგმებში ყველგან ქართველები ჩასვეს, რისკენაც, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, თავად ქართველებიც მიისწრაფოდნენ. ისიც ნიშანდობლივია, რომ ევროპელებმა ანტიოსმალური მოძრაობის დაწყებისთანავე პირველად ქართველებს მიმართეს და ისინიც დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ. ამ ფაქტს ქართველებიც ევროპელებთან მიწერ-მოწერაში საგანგებოდ აღნიშნავენ.

,,ოქროს საწმისთან" მიმართებაში მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტიც. ეს არის მისიონერთა მხრიდან საქართველოზე, როგორც საზღვაო ქვეყანაზე ყურადღების გამახვილება და საქართველოს ზღვებთან და საზღვაო ცხოვრებასთან კავშირის აღნიშვნა. ამ მხრივაც შავი ზღვის სტრატეგიული მდებარეობა მათ მიერ საგანგებოდ განიხილებოდა. მაგალითად, პეისონელი (XVII-XVIII სს.) ხაზგასმით აღნიშნავდა საქართველოს შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობას [5]. ხოლო ევროპელები, თავიანთ ნაშრომებში საზღვაო თემატიკის შეხებისას საქართველოს ფაქტორსაც აღნიშნავდნენ.

ქართველებთან მიმართებაში ევროპელები კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც პირდაპირ უკავშირდება თვით დამპყრობლებს შორისაც და საერთაშორისო ასპარეზზე მათ დიდ ავტორიტეტს. ნიშანდობლივია, რომ ევროპელები მახლობელ აღმოსავლეთში მოგზაურობისას ქართულ ტანსაცმელს იცვამდნენ, რათა თავი დაცულად და უსაფრთხოდ ეგრძნოთ. ფ. ავრილის თანახმად, ,,ამ ტანსაცმლის ყველას ეშინოდა სპარსეთში". ამასთან დაკავშირებით ერთი ფრანგი მოგზაური წერს, თურქებმა ისინი ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილები ქართველებად როგორ მიიჩნიეს და საოცარი პატივისცემით მოეპყრნენ [6].

ამდენად, ყველა ზემოთ განხილული მასალა და ქართველების დახასიათება ევროპელების ქართველებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების საწინდარი იყო, რასაც უნდა დაემატოს შავი ზღვისა და მისი რეგიონისადმი სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიოსმალური კოალიციების პერიოდშიც, თუმცა ამ საკითხის კვლევისას მეცნიერები შავი ზღვის ფაქტორს სათანადო ყურადღებას არ უთმობენ. ეს მაშინ, როდესაც შავმა ზღვამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოს თავისებურება და ისტორია.

საუკუნეების მანძილზე დასავლეთისთვის შავი ზღვა ქართულ სამყაროსთან შეხვედრის ერთ-ერთ გზასაც წარმოადგენდა, ასე იყო ანტიოსმალური კოალიციების პერიოდშიც, როდესაც შავმა ზღვამ კიდევ უფრო დიდი პოლიტიკური დატვირთვა და ანტიოსმალურიც შეიძინა. ეს ქრისტიანული სამყაროსთვის შავი ზღვის ისლამიზაციის ტენდენციის ფონზე ხდებოდა. პრობლემის ასე დასმა საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ დასავლეთის ისტორიული წიაღსვლა ,,ოქროს საწმისთან" დაკავშირებით და მის ევროპულ ორდენად წარმოჩენა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ფაქტობრივად ამ ორდენის სახით შავი ზღვის მნიშვნელობაზე კეთდება აქცენტი, რომელიც ევროპელებისთვის ინდოეთისკენ მიმავალ გზასაც წარმოადგენდა, რასაც ქართველი მეფეები ევროპელებთან ურთიერთობაში ყოველთვის განსაკუთრებით აღნიშნავდნენ.

---

[4] მანანა იამანიძე, საქართველო ფრანგულ მოგზაურთა ლიტერატურაში (XIII-XV საუკუნეებში) (თბილისი: 2006), 207, 211.

[5] იქვე, 155.

[6] იქვე, 125.

ოსმალთა მიერ ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ ეს ორდენი ქართული და დასავლური ქრისტიანული სამყაროსთვის საფრთხის შემცველ ვითარებაში გაცილებით ფართო მასშტაბში, ზოგადქრიასტაინული თვალთახედვიდან უნდა განვიხილოთ, როგორც ქრისტიანთა მაკონსოლიდირებელი. საამისოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ,,ოქროს საწმისის" ორდენისთვის საერთაშორისო რეზონანსის მიცემას. ამით, როგორც აღინიშნა, რეგიონზეც კეთდებოდა აქცენტი, მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილზე, რომელიც უძველესი დროიდან მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მსოფლიო პოლიტიკას.

ასე რომ, ,,ოქროს საწმისის" ორდენის მნიშვნელობის გაანალიზება, პირველ რიგში, ანტიოსმალური კოალიციების კონტექსტში უნდა მოხდეს, ვინაიდან მისი წარმოშობა, ძირითადად, ამ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენას უკავშირდება, რაც ქრისტიანულ სამყაროს (საქართველოს ჩათვლით) მობილიზებაში გამოიხატებოდა. თავად საქართველოსთვის კი, პირველ რიგში, ეს იყო მაჰმადიანური სამყაროსგან თავის გამოხსნა.

ვ. გაბაშვილმა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ანტიოსმალურ კოალიციებთან დაკავშირებული პრობლემები, აღნიშნავს, რომ 1453 წლის შემდეგ საქართველო უცხო, სახიფათო ფეოდალური ინსტიტუტების გარემოცვაში აღმოჩნდა და მისი ,,გაყიზილბაშებისა" თუ ,,გაოსმალების" საკითხი დადგა. მეცნიერი ამასთან დაკავშირებით ქართული დიპლომატიისადმი მიძღვნილ სტატიაში, რომელიც ანტიოსმალურ კოალიციებს ეხება (XVI-XVII სს.) მიიჩნევს, რომ ქართველების ,,საქართველოები" ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც საერთაშორისო დონეზე გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარება შეეძლო. შესაბამისად, დიპლომატიამ არსებულ ვითარებაში განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა შეიძინა, კიდევ უფრო გააძლიერა და გააქტიურა ის ხაზი, რომლის თანახმადაც ქართველები ტრადიციულად საუკუნეების მანძილზე დიდ ქვეყნებს შორის დაპირისპირებას თავიანთი ინტერესებისთვის იყენებდნენ. ამ შემთხვევაში მათ ლავირება ორ მეტოქეს - ირანსა და ოსმალეთს - შორის უხდებოდათ.

ნ. ბერძენიშვილისა და ვ. გაბაშვილის თანახმად, ქართულმა დიპლომატიამ da პოლიტიკამ შექმნილ ვითარებაში არჩევანი ნაკლებ ბოროტებაზე - ირანზე გააკეთა, ვინაიდან ოსმალეთი გაცილებთ საშიშ ძალას წარმოადგენდა და თავისი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დანერგვით საქართველოს განადგურებას უქადდა. თუმცა ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, მართალია, ოსმალეთი და ირანი ცდილობდნენ საქართველოს ფეოდალური დაქსაქსულობით ესარგებლათ, მაგრამ ოსმალეთი იძულებული იყო ზოგჯერ კომპრომისის გზას დასდგომოდა, რათა თავის წინააღმდეგ ქართველი მეფე-მთავრები არ აემხედრებინა და ამით საქართველოში ირანის პოზიციები არ გაეძლიერებინა[7]. ამას ქართველი დიპლომატები შესანიშნავად იყენებდნენ, რაც პოლიტიკურ სიბრძნესა და ილუზიებისგან შორს ყოფნაზე მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პერიოდში ირანი ანტიოსმალურ კოალიციაში საქართველოს მეტოქე გახდება, ქართველებისთვის სპარსელები ოსმალთა მსგავსად ,,ურჯულო აგარიანებად" დარჩებიან. ამიტომაც რომის პაპი კლემენტ VIII ქართველებს როგორც ოსმალების, ისე ირანელების წინააღმდეგ მებრძოლებად მიიჩნევდა.

ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ საქართველო არასდროს ყოფილა მტრებით ისე გარშემორტყმული, როგორც აღნიშნულ ხანაში და წერს: ,,ადვილი გასაგებია, რომ საქართველოში ცოცხლობდა რომანტიკული იდეალიზაცია, როცა ჩვენი ქვეყნის გვერდით იდგნენ ძლიერი ბიზანტია და სხვა ქრისტიანი ქვეყნები, რომელთანაც ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე აგრე

[7] ნიკო ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე", მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, (1944): 21; ვალერიან გაბაშვილი, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII საუკუნეებში), სტატიების კრებული, I (2016): 27.

ნაყოფიერად და კულტურულად თანამშრომლობდა" [8]. როგორც ჩანს, ევროპაშიც ამ საერთო პრობლემისადმი მიდგომამ წარსულის რომანტიკული აღქმა და ,,ოქროს საწმისზე" მინიშნება გამოიწვია, თანაც წარსულის ისეთ ფაქტთან, საქართველოსა და დასავლეთს ოდითგან ერთმანეთთან რომ აკავშირებდა. ამიტომ ანტიოსმალური კოალიციების პერიოდში ამ ორდენმა საინტერესო დატვირთვა შეიძინა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შავ ზღვაზე აქცენტით, რომელიც, როგორც ეს ზემოთ ითქვა, საუკუნეთა მანძილზე ევროპული ინტერესების თვალსაწიერში შედიოდა და შუა საუკუნეებში შავ ზღვას თავიანთი სახელწოდებებიც მიაკუთვნეს: ,,მერე ნიგრუმ" (შავი ზღვა). ,,მარე მაჯორე" (დიდი ზღვა), ,,მერ ნუარ" (შავი ზღვა) და სხვ.

ქართველების წინაშე ანტიოსმალური კოალიციების პერიოდში სხვადასხვა საკითხთან ერთად პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც დადგა. როდესაც ქართლის მეფე სიმონ I-მა დასავლეთისკენ აიღო გეზი, ქართლში ევროპეიზაციის პროცესები დროთა მანძილზე კიდევ უფრო გაღრმავდა, რაც სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ამსახველ ფრესკაზეც აისახა, რომელიც ირიბად ანტიოსმალურ კოალიციებზეც მიგვანიშნებს.

ასე რომ, ფაქტობრივად ორმხრივ პროცესთან გვაქვს საქმე: ევროპის საქართველოთი დაინტერესებასთან და ქართველების ევროპისკენ სწრაფვასთან, რასაც ,,ოქროს საწმისიც" ადასტურებს. ასეთ ვითარებაში დასავლეთში სიმონ I-ისადმი, როგორც მხედართმთავრისა და დიპლომატისადმი, ინტერესი გაიზარდა. ამ მხრივ ესპანური წყაროები გამოირჩევიან. ქართველი მეფის ესპანეთის მეფის ფილიპე II-ისადმი მიწერილ წერილებში ანტიოსმალურ კოალიციასა და მისი განხორციელების გზებზეა ლაპარაკი [9]. სწორედ ამ დროს, ანტიოსმალური კოალიციების პირობებში, კვლავ აქტიური ხდება ქართველებისა და ესპანელების ნათესაობის საკითხი, რაც, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ამის უკან დიდი პოლიტიკა იდგა.

ასევე არ არის შემთხვევითი იმდროინდელ ევროპულ დოკუმენტებში, პოლიტიკური აგენტებისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მყოფი ევროპელი რეზიდენტების ჩვენებებში, საკმაოდ ბევრი ცნობების დადასტურება საქართველოსა და ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებზე [10]. ვ. გაბაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ ქართველები შესანიშნავად ერკვეოდნენ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თვალყურს ადევნებდნენ საქრისტიანო სახელმწიფოების ურთიერთობას ოსმალეთთან [11]. ეს კი მიანიშნებს და საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი საქმის კურსში უნდა ყოფილიყვნენ ევროპის კულტურული ცხოვრების (მათ შორის მხატვრობის) შესახებაც რის გამოც ევროპიდან მხატვრების მოწვევა სურდათ. ეს ის დროც არის, როდესაც ანტიოსმალური კოალიციების პერიოდმა თავისი კვალი დაამჩნია და სვეტიცხოველშიც, მხატვრობისთვის ნიშანდობლივი ენითა და სიმბოლოებით ის საფრთხეები გამოხატა, რაც ქრისტიანულ ევროპას ბიზანტიის განადგურების შემდეგ დაემუქრა [12].

ქრისტიანული სამყაროსთვის ნიშანდობლივი აღნიშნული საფრთხეები, რომლის ნაწილსაც საქართველოც წარმოადგენდა, ხელოვნების მხრივაც ამ ორ სამყაროს აახლოებდა. ამან საშუალება მოგვცა პარალელები დაგვეძებნა ევროპულ მხატვრობასა და ევროპეიზაციის პროცესების მიმდინარეობისას სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ამსახველ ფრესკასთან. შედეგად აღნიშნულ ფრესკაში დასავლეთის ხელოვნებისთვის ნიშანდობლივი ცალკეული ელემენტები აღმოვაჩინეთ და კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ვუჩვენეთ [13]. თავად ,,ოქროს საწმისის" ორდენი კი

---

[8] ნიკო ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან", 47.

[9] ვალერიან გაბაშვილი, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან", 44-46, 48.

[10] იქვე, 34.

[11] იქვე, 34.

[12] მანანა გაბაშვილი, „დასავლეთის მხატვრობის გავლენა სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ამსახველ ფრესკაზე", 35-44.

[13] იქვე, 35, 38-43.

ქრისტიანული სამყაროს ერთგვარ სიმბოლურ დაპირისპირებადაც მივიჩნიეთ ისლამურ სამყაროსთან.

ყურადღება მივაქციეთ ,,ოქროს საწმისის" ორდენის პოპულარობის დინამიკასაც. თუ ამ დინამიკას თვალს გავადევნებთ, დავინახავთ, რომ მისი პოპულარობის ზრდასთან ერთად ქართველების შესახებ ინფორმაციაც იზრდება და ანტიოსმალურ კოალიციებში მათი ჩართულობის მნიშვნელობაც. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ქართველებმა პირველებმა დაამყარეს კონტაქტი ,,ოქროს საწმისის" ორდენის დამაარსებელ ფილიპე კეთილ ბურგუნდიელთან. მრავლისმეტყველია აგრეთვე, რომ ფილიპესთან ერთად მასში მეფე გიორგი VIII სამცხის ათაბაგ ყვარყვარესთან ერთად გეგმავდა მონაწილეობას [14]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროიდან მოყოლებული, ევროპელთა ანტიოსმალურ გეგმებში, როგორც წესი, ყოველთვის საქართველო იგულისხმებოდა.

ზემოთ გაკვრით შევეხეთ ანტიოსმალურ კოალიციებში შავი ზღვის როლს, ამჟამად მას საგანგებოდ უნდა შევეხოთ. ამ ზღვის მნიშვნელობა, რომელიც ოდითგანვე დიდი საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა, ევროპელებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, ცხადია, პირველ რიგში - საქართველოს. ამიტომ, შემთხვევით არ მიგვაჩნია, როგორც კი გიორგი VIII-მ ,,ოქროს საწმისის" ორდენის დამაარსებელ ფილიპე III ბურგუნდიელთან კავშირი გააბა, მაშინვე შავ ზღვაზე გააკეთა აქცენტი, როგორც ანტიოსმალური მოძრაობის ნაწილზე. თავის მხრივ ევროპელები საქართველოში სტაბილური სიტუაციით იყვნენ დაინტერესებულნი. ამიტომ, როდესაც 1459 წ., ოსმალების მიერ ბიზანტიის იმპერიის დამხობიდან მეექვსე წელს, რომის პაპის პიიოს II-ის ელჩი ლოდოვიკო ბოლონიელი საქართველოში ჩამოვიდა და ქართველებს ოსმალთა წინააღმდეგ შემუშავებული სამოქმედო გეგმა გააცნო, ამ გეგმამ დიდი როლი შეასრულა ქართველ მეფე-მთავრებს შორის მშვიდობის ჩამოგდებაში. ამავე დროს, რაც ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია, პაპის ელჩმა შუამავლის როლი შეასრულა ქართველებსა და ,,ოქროს საწმისის" დამაარსებელ ფილიპე კეთილ ბურგუნდიელს შორის. ქართველი მეფე მას აცნობებდა (1459 წ. 5 ნოემბერი): ,,ყველა ამ მხარის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევიფიცენით, რათა ყველა ჩვენის ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს, მეტადრე იმათ, რომლებიც არიან კონსტანტინოპოლში, რადგან ქრისტიანებს ძლიერ მტრობენ. ამ კავშირის გამო ყველა ჩვენთაგანმა ჯარი მოამზადა" [15]. ნოემბრის თვეშივე გაგზავნილ სხვა წერილებში (რაც ინტენსიურ მიმოწერაზე მეტყველებს) გიორგი VIII და ყვარყვარე ათაბაგი კოალიციის შემდგომ გაფართოებას ეხებიან.1460 წ. საქართველოდან ევროპაში გაგზავნილ ელჩთა განცხადებებშიც, რომელთა შორის არიან გიორგი მეფის, სამცხის მთავარ ყვარყვარესი, ტრაპიზონის კეისარ დავითის, მცირე სომხეთის, უზუნ-ჰასანის ელჩები კვლავაც ანტიოსმალურ კოალიციასა და მის ორგანიზებაზე ლაპარაკობენ [16]. ქართველ ელჩებს გიორგი მეფისა და ყვარყვარეს წერილები მიჰქონდათ ბურგუნდიის მთავარ ფილიპესთან და რომის პაპთან. ჩანს აგრეთვე ქართველების ეს გეგმა რამდენად ფართო და ზოგადქრისტიანული ხასიათისაა. ამ გეგმის თანახმად, ქრისტიან მოკავშირეთა რიცხვი 120000 უნდა ყოფილიყო [17] და ოსმალები არა მარტო კონსტანტინოპოლიდან, არამედ მცირე აზიიდანაც უნდა გაედევნათ. კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება; ქართველებმა მაშინვე დასვეს

---

[14] კიკნაძე, ,,ოქროს საწმისის" ორდენის ისტორია, 81.

[15] მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის, (ტფილისი: ელექტრონული საბეჭდი სტამბა, 1902), 59; ზურაბ ანჩაბაძე; ვიქტორ გუჩუა (ტომის რედაქტორები), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში (თბილისი: „საბჭოთა საქართველო", 1979). 738, შენ. 1.

[16] თამარაშვილი, ისტორია კათლიკოსობისა ქართველთა შორის, 61-62; ანჩაბაძე, გუჩუა (ტომის რედაქტორები), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, 738.

[17] ანჩაბაძე; გუჩუა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, 738.

,,ურჯულოთაგან" იერუსალიმის გამოხსნის საკითხი [18]. იერუსალიმზე, რაც ასევე არ არის შემთხვევითი, ისინი მთელი ანტიოსმალური კოალიციების პერიოდში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ. ნიშანდობლივია, რომ ქართველებმა ოსმალების წინააღმდეგ ჩართეს ტრაპიზონის საკეისრო, აგრეთვე მცირე სომხეთი და ის მაჰმადიანური ქვეყნები, რომლებიც ოსმალებთან იყვნენ დაპირისპირებული, მათ შორის უზუნ ჰასანი. ამდენად, არ არის შემთხვევითი, ყველაზე დიდი რაოდენობის მებრძოლების გამოყვანას ქართველი მეფე რომ გეგმავდა (40000 ჯარისკაცი), მეორე ადგილზე კი ტრაპიზონი იდგა (30000) 30 კატარღით. სამეგრელო-აფხაზეთის მთავარი ბედიანი კოალიციას 10000 მეომარს ჰპირდებოდა, სამცხის მთავარი - 20000 ცხენოსანს. მასში მონაწილეობას გურიის მთავარი და ანაკოფიის ერისთავიც აპირებდნენ [19].

ტრაპიზონის ჩართვა ყურადსაღებია იმ მხრივაც, რომ შავ ზღვაზე ქართული პოლიტიკის იმ ტრადიციებსა და ინტერესებს უკავშირდებოდა, რაც ოსმალებმაც კარგად იცოდნენ და ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ. როგორც ცნობილია, ტრაპიზონი, რომელიც შუა საუკუნეებში ,,მეგრელთა ქვეყნადაც" მოიხსენიებოდა, ოდითგან ძველი კოლხური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო ერთ დროს შავ ზღვას ,,კოლხთა ზღვაც" ეწოდებოდა, კიდევ უფრო ადრე კი ,,ფასიანის ზღვა", რაც იგივე კოლხეთის ზღვაა [20]. ასევე ნიშანდობლივია, სწორედ ევროპელებმა ანტიოსმალური მოძრაობის გარკვეულ ეტაპზე ამ ზღვას ,,მეგრელთა ზღვა" (მაგ., დე ვიტას რუკაზე) როდესაც უწოდეს, რომელიც ზემოხსენებული სახელების გვიანი ასახვაა [21]. ამას გარდა ეს სახელი ,,ყარა დენიზს" (შავ ზღვას ნიშნავს) დაუპირისპირეს. ეს ნიშნავს, რომ ეს წინააღმდეგობები და პოლიტიკური ანტაგონიზმი ევროპელებმა შავი ზღვის სახელებზეც ასახეს, თანაც ანტიოსმალური კოალიციების გააქტიურების ჭრილში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რაც ასევე შემთხვევითად არ მიგვაჩნია. ანტიოსმალური კოალიციის მომხრე ოდიშის მთავარ ლევან II-ს, საქართველოში შემოსული მისიონერები, რომელთა ინტერესებშიც შავი ზღვაც შედიოდა, მას ,,კოლხთა მთავარსა" და ,,კოლხეთის მეფეს" უწოდებდნენ. ეს ისტორიული წიაღსვლა ,,ოქროს საწმისის" ორდენთანაც იწვევს ასოციაციას.

დასავლეთში ოდითგანვე კარგად ესმოდათ შავი და ხმელთაშუა ზღვების კავშირის მნიშვნელობა და საერთაშორისო დატვირთვა. ისიც გვაქვს აღნიშნული, ევროპელები, კერძოდ თუნდაც იტალიელები რამდენად სერიოზულ მეტოქეს ხედავდნენ შავ ზღვაზე ქართველების სახით და რომ მათი მიზეზით, კონსტანტინოპოლისგან განსხვავებით, ტრაპიზონში პრივილეგიებს ვერ მიაღწიეს. ამ გარემოების გათვალისწინებით და სათანადო მასალების მოხმობით დავასაბუთეთ, რომ იტალიელებმა კათოლიკური ცენტრი სმირნიდან თბილისში გადმოიტანეს, იმ ქვეყნის დედაქალაქში, თბილისში, სადაც შავ ზღვასა და ტრაპიზონში ქართველების სახით ყველაზე სერიოზული მეტოქე დაინახეს [22].

ისტორიკოსი ჯუზეპე კანალე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ შავ ზღვაზე ვაჭრობამ განაპირობა ვენეციის, პიზისა და გენუის გამდიდრება და ოქროს ხანა. რომის ეკლესიაც ყველაზე დიდ შემოსავალს შავ ზღვასთან ვაჭრობით იღებდა [23]. ამისკენ მიისწრაფოდნენ ფრანგები და სხვა ევროპელებიც. გიორგი ბრწყინვალე კი, რომელიც ამ პოლიტიკაში (შავი ზღვისა და ტრაპიზონის)

---

[18] იქვე, 737.

[19] იქვე, 738.

[20] მანანა გაბაშვილი, „ფასიანის ზღვა", ქართველოლოგია, 2, (თბილისი, 2018), 38-39.

[21] იქვე, 42; Джондо Гвасалия, „Еще об одном названии Черного моря", მაცნე, 3 (1987), 207.

[22] მანანა გაბაშვილი, „რატომ გადმოიტანეს აღმოსავლური კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში", საქართველოს და კავკასია, I (2003): 39.

[23] „XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ", საქართველოს ისტორიის წყროები, 26, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა (1981): 11.

თამარის პოლიტიკის გამგრძელებელი აღმოჩნდა, დასავლურმა წყაროებმა აღმოსავლურის მსგავსად უძლიერესად და შავი და ხმელთაშუა ზღვების ,,განძის მფლობელად" გამოაცხადეს [24].

ვფიქრობთ, ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტორის გათვალისწინებით, რაც შავი ზღვის ისტორიას უკავშირდება, ევროპელების ამ ზღვისადმი ინტერესმა და მისი საშუალებით ქართველებთან კავშირმა და კონტაქტებმა განაპირობა მათ მიერ ,,ოქროს საწმისის" ორდენის შემოღება, მათ ცხადია ასევე მხედველობაში ჰქონდათ საუკუნეების მანძილზე კოლხურ სამყაროსთან დაკავშირებული მემატიანეების, მწერლებისა და მხატვრების მიერ კოლხეთის პოპულარიზაცია და უკვდავყოფა რაც ასევე მნიშვნელოვანია კოლხური სამყაროს საზღვაო კუთხითაც წარმოჩენა.

1461 წელს, როდესაც ქართველებმა შავი ზღვის პოლიტიკა კიდევ უფრო დიდ მასშტაბში გაიაზრეს, ვიდრე მხოლოდ კონსტანტინოპოლის თურქთაგან გამოხსნა, მათ თურქთაგან ახლო აღმოსავლეთის გაწმენდის საკითხი დასვეს. ეს შეეხო ქართველებისთვის მიუღებელ შავი ზღვის ისლამიზაციის საკითხსაც[25]. ამდენად, კიდევ ერთხელ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი VIII-ის მიერ ანტიოსმალურ კოალიციაში შავი ზღვისა და ტრაპიზონის ჩართვას არა მხოლოდ საქართველოსთვის ჰქონდა დიდი პოლიტიკური დატვირთვა, არამედ - საერთაშორისო ცხოვრებისთვისაც, თუ მხედველობაში მივიღებთ ტრაპიზონის დიდ როლს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობასა და საშუამავლო ვაჭრობაში. ამიტომ გასაგებია, დასავლეთი ყველა ხერხს როდესაც მიმართავდა ტრაპიზონში თავისი პოზიციების გასაძლიერებლად, რასაც საქართველო, როგორც აღინიშნა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე წინააღმდეგობას უწევდა.

გიორგი VIII-სთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი ფატიც. საქმე ის არის, რომ სწორედ XV საუკუნის II ნახევრიდან, რაც ანტიოსმალურ მოძრაობასა და ,,ოქროს საწმისის" ორდენის შემოღების ხანას ემთხვევა, ქართველი მეფე ქრისტიანობის გასაძლიერებლად საერთაშორისო მასშტაბით ქმედით ნაბიჯებს დგამს. იგი იერუსალიმში ქართველების პოზიციების აღდგენა-გაძლიერების მიზნით, რაც ანტიოსმალურ მოძრაობასთან კავშირშიც იყო, ბეენა ჩოლოყაშვილს აგზავნის, აქტიურ, ენერგიულსა და პრინციპულ პიროვნებას. მისი ამოცანა ევროპელთაგან მიტაცებული ეკლესიების დაბრუნება, ქართული ხელნაწერების შეკაზმვა-რესტავრაციაა. ამ საქმიანობით იგი 1514 წელსაც იერუსალიმში ჩანს. [26].

იერუსალიმში ქართველების გავლენის გაზრდამ ისინი ანგარიშგასაწევ ძალად აქცია, რაც საერთაშორისო ასპარეზზე და ანტიოსმალური კოალიციების მონაწილეთა მხრიდან მხედველობაში იქნა მიღებული. როდესაც სომეხთა ეპისკოპოსმა მარტიროსმა გოლგოთის ქართველთა ხელიდან მიტაცება დაგეგმა და ეგვიპტის სულთნის წინაშე, რომელიც ამ მიზნით უხვად დაასაჩუქრა, ეს საკითხი დასვა, სულთნის კარზე მას ასეთი რჩევა მისცეს: ქართველებთან მეტოქეობას თავი დაანებეთ, ვინაიდან მათ უკან მათი მეფე (გიორგი VIII) დგას და ზურგს უმაგრებსო. თანაც ქართველმა მეფემ პირობა მოგვცა, რომ თავის ქვეყანაში მუსლიმებს არ შეავიწროებდა [27]. მრავლისმეტყველია ბართლომე დე სალიანიაგოს ის საყოველთაოდ ცნობილი ცნობაც, რომლის თანახმადაც, გარდა იმისა, რომ ეგვიპტისა და ოსმალეთის სულთნებს ქართველების ეშინოდათ, ქართველები საზეიმოდ მორთულ ცხენებსა და აქლემებზე, გაშლილ-აფრიალებული ეროვნული

---

[24] ალ-კალკაშანდი, „ცნობები საქართველოს შესახებ" (არაბულიდან თარგმნა მეგი მეტრეველმა), არმაღანი (1977): 554, 557.

[25] Василий Владимирович Бартольд, Ислам на Черном море, Соб. соч. т. VI (Москва: Издательство "Наука"), 1966, 659.

[26] ქრისტინე შარაშიძე, „საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIIIსს). გამოკვლევა და ტექსტები". მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30 (1954): 241-242.

[27] Николай Яковлевич Марр, Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме в поездку 1902 г. Сообщ. Палест. общ. т. XIV, ч. II , Санкт-Петербург, 1903), 50.

დროშებით თავისუფლად შედიოდნენ სალოცავად იერუსალიმში და სხვებივით სულთანს გადასახადს არ უხდიდნენ [28].

გიორგი VIII-ის ავტორიტეტი, მით უმეტეს იერუსალიმში, საერთაშორისო ასპარეზზე და ფილიპე კეთილთან ურთიერთობაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ამიტომ ფილიპე კეთილის მიერ ,,ოქროს საწმისზე" აქცენტი ლოგიკურია. არც ის არის შემთხვევითი, მოგვიანებითაც, ანტიოსმალური მოძრაობის შემდეგ ეტაპზე ქართველების იერუსალიმზე ზრუნვა რომ არ ნელდებოდა, ვინაიდან იერუსალიმი ანტიოსმალური მოძრაობის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ ევროპელები, განსაკუთრებით იტალიელები ქართველების გავლენასა და პოზიციებს არა მხოლოდ შავ ზღვაზე, არამედ იერუსალიმშიც აკვირდებოდნენ, მათ შორის არსებული მეტოქეობიდან გამომდინარე, რაც საერთაშორისო რეზონანს იწვევდა.

საქართველოს საზღვაო ინტერესებთან დაკავშირებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, რასაც ასევე ისტორიის სიღრმეებში მივყავართ. მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება. ალექსანდრე კახთა მეფემ, რომელმაც ანტიოსმალური ორიენტაციის პირობებში გეზი რუსეთისკენ აიღო, რუსებს მესამე რომის იდეა შესთავაზა. იგივე გააკეთა დასავლური ორიენტაციის სიმონ I-მა, ოღონდ ეს იდეა მან ესპანეთის მეფეების წინაშე დასვა. ეს ის იდეაა, რომელსაც X საუკუნეში, ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისთანავე ჩაეყარა საფუძველი და მისი პოლიტიკური პროგრამის ნაწილი გახდა. ამის დასტური დავით კურაპალატის ოშკის საფასადო დეკორზე ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინში გამოსახვაა [29]. ისიც გვაქვს აღნიშნული, რომ ამ იდეამ ყველაზე დიდ წარმატებას თამარის ეპოქაში მიაღწია და საქართველოსთვის ისტორიულად ხელსაყრელ მომენტში ყოველთვის ცოცხლობდა. თუმცა ანტიოსმალური მოძრაობის ხანაში ამ იდეამ საქართველოსთვის ისტორიული ხსოვნის ხასიათი მიიღო. მაგალითად, ქართველებმა ბიზანტიის მემკვიდრეობის ეს იდეა ანტიოსმალური მოძრაობის პარტნიორებს შესთავაზეს.

ამგვარად, უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველო თავისი სტრატეგიული მდებარეობით, შავ ზღვასთან კავშირითა და არგონავტებიდანაც მოყოლებული მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ყურადღებას იპყრობდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ამანაც განაპირობა ,,ოქროს საწმისის" ევროპის უმაღლეს ორდენად აღიარება. ეს ორდენი, წარსულის აქტივიზაციასთან ერთად, კარგად მიესადაგებოდა ანტიოსმალურ მოძრაობაში შექმნილ ვითარებასა და, ზოგადად, მაშინდელ საერთაშორისო პოლიტიკას.

ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოებაც; ,,ოქროს საწმისის" ორდენის პოპულარობის ზრდა მიესადაგებოდა ქართული, ასევე ევროპული სამყაროს ანტიოსმალურ მოძრაობაში აქტივიზაციას. ასეთ ვითარებაში შავი ზღვისა და იერუსალიმის გარდა ქართველების მხრიდან შემდეგ გარემოებაზეც გამახვილდა ყურადღება, კერძოდ, სვეტიცხოვლის ფაქტორზე. საქართველოს მთავარი საკათედრო ტაძარზე, ქართველთა იდენტობისა და ეროვნული ერთიანობის, ზოგადად, დიდი მისიის მატარებელ კერაზე, რომელიც ქართველობის შენარჩუნების საკითხში ისტორიულად ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა, რაც ჩვენს წინაპრებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული [30]. როგორც არაერთგზის გვაქვს აღნიშნული, სვეტიცხოვლის გაძლიერება საქართველოს გაძლიერებას ნიშნავდა. არ არის შემთხვევითი, გიორგი VIII-ის ძე ალექსანდრემ ანტიოსმალური მოძრაობის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება სვეტიცხოველსა და მის რესტავრაციას რომ დაუთმო, მის

[28] ანჩაბაძე; გუჩუა, საქართველოს ისტორიის ნარკვევების მიხედვით, ტ. III, 832.

[29] მანანა გაბაშვილი, „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინაპირობები _ დავით კურაპალატი", საიუბილეო კრებული, თამარ გამსახურდია 70 (2007): 121.

[30] მანანა გაბაშვილი, სვეტიცხოვლის ისტორიული მისია, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი (თბილისი: ლოგოსი, 2018); 83-89; Manana Gabashvili, The Historical mission of Svetitshoveli and Georgia, Religion and Public Life, David Muskelishvili editor, ed. Nova, (2021): 97-106.

აღდგენა-გაძლიერებას, ეკონომიკურ მოღონიერებას, მისგან მიტაცებული მიწების დაბრუნებას. ამ მხრივ დიდია ქართლის დედოფლის მარიამისა და როსტომ მეფის დამსახურება [31].

მართალია, ქართველების მიერ ფილიპე ბურგუნდიელთან და ზოგადად ევროპელებთან დადებულმა ანტიოსმალური კოალიციის იდეამ საბოლოოდ მარცხი განიცადა, მაგრამ მისი გაგრძელებისა და აღდგენის სურვილი მომდევნო პერიოდშიც არსებობდა. ხოლო ,,ოქროს საწმისის“ ორდენი, დიდი პოპულარობიდან გამომდინარე, ამ კოალიციების დამარცხების შემდეგაც დარჩება. ფილიპე კეთილის მემკვიდრეები ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ. რაც მთავარია, ,,ოქროს საწმისის” ორდენი ევროპაში კიდევ უფრო დიდ პოპულარობას მოიხვეჭს.

ფილიპე კეთილის შთამომავალი, შარლ დე გულადის ერთადერთი ქალიშვილი ცოლად საღვთო რომის მომავალ იმპერატორ მაქსიმილიან ჰაბსბურგს გაჰყვება. ამ დროიდან მოყოლებული ,,ოქროს საწმისის” ორდენი ჰაბსბურგთა დინასტიის მთავარი ორდენი გახდება. მაქსიმილიანის ვაჟიშვილმა ფილიპე ლამაზმა ესპანეთის გამაერთიანებელ ფერდინანდისა და იზაბელას უფროს ქალიშვილზე იქორწინა. მათი უფროსი ვაჟიშვილი საყოველთაოდ ცნობილი კარლოს V (1500-1558წწ.), რომელსაც მემკვიდრეობით ევროპის თითქმის მთელი ტერიტორიები და ზღვის გადაღმა სამფლობელოები ერგო [32]. როგორც ამბობდნენ, მის სამფლობელოებში მზე არასდროს ჩადიოდა.

კარლოს V უგანათლებულესი მონარქი და ხელოვნების მეცენატი იყო, გენიალური ტიციანის თაყვანისმცემელი და მფარველი. მრავლისმეტყველია, რომ მის დროს ,,ოქროს საწმისის“ ორდენი კიდევ უფრო პრესტიჟული გახდა [33]. ნიშანდობლივია, რომ ამ ორდენის მფლობელი არაერთი ევროპელი მეფე ხდება. მას შემდეგ, რაც 1556წ. კარლოს V გადადგა და ჰაბსბურგთა სამფლობელო მის ვაჟებს ფილიპე II-სა da ფერდინანდ I-ს შორის გაიყო, ჰაბსბურგთა უფროსი ესპანური შტო ,,ოქროს საწმისის” ტიტულს ეუფლება, რომლის მემკვიდრე და მფლობელი XVIII საუკუნემდე რჩება.

ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც კარლოს V-ის, ისე ფილიპე კეთილი II-ის კონტაქტებს საქართველოსთან, რაც პირველ რიგში ანტიოსმალური კოალიციების ორგანიზების საკითხსაც უკავშირდებოდა, რისი დასტურიც მათ შორის მიმოწერაა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამაც, რაც საგანგებოდ აღინიშნა, რომ ,,ოქროს საწმისის” ორდენის მნიშვნელობის ზრდა უკავშირდება ევროპელებისა და ქართველების ანტიოსმალური კოალიციის ამოცანებს. ამ მხრივ და, ეს უკვე ითქვა, განსაკუთრებით საინტერესოა ესპანურ არქივებში დაცული ფილიპე II-ისა (1558-1598წწ.) და ქართლის მეფე სიმონ I-ის მიმოწერა [34].

ფილიპე II-ის დროს მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა, თანაც ,,ოქროს საწმისის” ორდენის ეგიდით. მხედველობაში გვაქვს 1571 წლის ლეპანტოს უდიდესი მნიშვნელობის საზღვაო ბრძოლა, რომლის დროსაც ოსმალთა ფლოტი დამარცხდა, მათი ევროპისკენ წინსვლა შეფერხდა და ევროპის მიწების მომავალ განთავისუფლებას დაუდო საფუძველი. როგორც აღინიშნა, ეს ბრძოლა ,,ოქროს საწმისის” ორდენის ეგიდით წარიმართა. მისი რაინდი კარლოს V-ის უკანონო შვილი და ფილიპე II-ის ნახევარძმა დონ ხუანი ამ ბრძოლის მხედართმთავარი იყო [35]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამარჯვებით აღფრთოვანებულმა დონ გარსია დე ტოლედომ საქრისტიანოს საერთო აღტაცება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: ,,ახლა საქმე უკვე იერუსალიმის დაპყრობაზეა” [36]. ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს იერუსალიმის საკითხი, რომელიც ანტიოსმალურ კოალიციას დაუკავშირდა და ლეპანტოს ამ ბრძოლის შემდეგ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართველმა მოღვაწეებმა XVI საუკუნის II ნახევარში საერთაშორისო ასპარეზზე კვლავაც

[31] მზია სურგულაძე, ,,მცხეთის სახლი” (თბილისი: „უნივერსალი’, 2016), 96-97.

[32] კიკნაძე, ,,ოქროს საწმისის“ ორდენის ისტორია , 81-82.

[33] იქვე, 82.

[34] ვალერიან გაბაშვილი, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“, 45-48.

[35] კიკნაძე, ,,ოქროს საწმისის“ ორდენის ისტორია, 82.

[36] ვალერიან გაბაშვილი, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“, 35.

ანტიოსმალური პრობლემა გამოიტანეს. იმ ვითარებაში, როდესაც ანტიოსმალური კოალიციების ინიციატორები იმპერატორი რუდოლფი და რომის პაპი კლემენტ VIII ხდებიან, ამ წინააღმდეგობაში ისინი განსაკუთრებულ როლს საქართველოსა და ირანს მიანიჭებენ. აქედანაც ჩანს, რამდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული დიპლომატია მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკასთან. ჩანს აგრეთვე ქართველი ხალხის ბრძოლის მნიშვნელობა ოსმალ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქართველი დიპლომატები სრულიადაც არ მოჩანან ანტიოსმალური კოალიციის პასიურ მონაწილედ. შაჰ აბასმაც იცოდა, რომ ქართველების ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ კარგად იყო ცნობილი ევროპაში.

,,ოქროს საწმისის" ორდენის დამაარსებელი ფილიპე კეთილი მხოლოდ პოლიტიკურ ასპარეზზე არ აქტიურობდა. იგი ცნობილი მეცენატიც იყო და იმ დროს მოღვაწეობდა, როდესაც ნიდერლანდური ხელოვნება განვითარების ზენიტში იყო ასული უდიდესი მხატვრების შემოქმედებით - ვან დერ ეიკი, ვან დერ ვეიდენი, ჰუგო ვან დერ გუსი და სხვ.

იბადება კითხვა, რა კავშირი აქვს ამ ფაქტს ,,ოქროს საწმისის" ორდენთან.

საქმე ის არის, რომ 1450წ. ჰუგო ვან დერ ვეიდენმა ფილიპე კეთილის პორტრეტი შექმნა ,,ოქროს საწმისის" ორდენითა და ყელსაბამით. ამ პორტრეტის მხოლოდ ასლმა მოაღწია და ის ამ ხასიათის პირველი პორტრეტია. ამის შემდეგ, 1460წ. ვან დერ ვეიდენმა ფილიპეს შვილის, მომავალი მთავრის შარლ დე გულადის პორტრეტი და ფილიპეს უკანონო შვილის ანტუანის პორტრეტები შექმნა. ამ ნაწარმოებებს კარგად ვიცნობდი, მაგრამ მხოლოდ ახლა გავამახვილე ყურადღება, რომ ორივეს მკერდს ,,ოქროს საწმისის" ორდენი ამშვენებს. იგივე უნდა ითქვას გენიალური ტიციანის მიერ შექმნილ კარლოს V-ის პორტრეტებზეც (ერთ-ერთზე ცხენზეა ამხედრებული). ამგვარი პორტრეტები მოგვიანებითაც იქმნებოდა. მაგალითად, შარლ დე ლოოს ლუი XV-ის პორტრეტი და სხვ.

,,ოქროს საწმისის" ორდენს არასდროს შეუწყვეტია არსებობა და დღესაც პრესტიჟულ ორდენთა რიცხვს განეკუთვნება. მისი რაინდები არიან ბრიტანეთის ყოფილი დედოფალი ელისაბედ II, შვედეთის მეფე კარლ XVI გუსტავი, იაპონიის იმპერატორი კოჰიტო, ბელგიის ყოფილი მეფე ალბერტ II, დანიის დედოფალი მარგარეტ II, ნორვეგიის მეფე ჰეროლდ V, საუდის არაბეთის მეფე აბდულა, ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ჰავიერ სოლანა და სხვ. [37]

დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. ალ-კალკაშანდი, „ცნობები საქართველოს შესახებ" (არაბულიდან თარგმნა მეგი მეტრეველმა). არმაღანი (1977): 453-461.
2. ანჩაბაძე, ზურაბ; გუჩუა, ვიქტორ (ტომის რედაქტორები). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში.* თბილისი: „საბჭოთა საქართველო", 1979.
3. ბერძენიშვილი, ნიკო. „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე". *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.* ნაკვ. 1 (1944): 3-211.
4. გაბაშვილი ვალერიან. „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII საუკუნეებში)". *სტატიების კრებული,* I (2016): 21-67.
5. გაბაშვილი, მანანა. „დასავლეთის მხატვრობის გავლენა სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ამსახველ ფრესკაზე". *ქართველოლოგია*, 2 (2020): 5-50.
6. გაბაშვილი, მანანა. „ზღვა და აფრიანი ხომალდები ქართული დროშებით სვეტიცხოვლის ფრესკაზე". ,,*ჰეროლდი*", 5 (2005): 3-29.

[37] კიკნაძე, ,,ოქროს საწმიის" ორდენის ისტორია, 86.

7. გაბაშვილი, მანანა. „რატომ გადმოიტანეს აღმოსავლური კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში?“. *საქართველო და კავკასია,* I (2003): 33-40.
8. გაბაშვილი, მანანა. *სვეტიცხოვლის ისტორიული მისია.* საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი: „ლოგოსი“, 2018.
9. გაბაშვილი, მანანა. „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინაპირობები - დავით კურაპალატი“, *საიუბილეო კრებული, თამარ გამსახურდია 70* (2007): 117-149.
10. გაბაშვილი, მანანა. „ფასიანის ზღვა“. *ქართველოლოგია*, 2 (2018): 37-54.
11. იამანიძე, მანანა. *საქართველო ფრანგულ მოგზაურთა ლიტერატურაში (XIII-XV საუკუნეებში).* თბილისი: „მეცნიერება“, 2006.
12. კიკნაძე, ზაქარია. ,,ოქროს საწმისის“ ორდენი. *ჰეროლდი* (2020): 76-86.
13. თამარაშვილი, მიხეილ. *ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის,* ტფილისი: ელექტრონული საბეჭდი სტამბა, 1902.
14. სურგულაძე, მზია. *“მცხეთის სახლი”.* თბილისი: „უნივერსალი“, 2016.
15. შარაშიძე, ქრისტინე. „საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს), გამოკვლევა და ტექსტები“. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30 (1954): 197-304.
16. ჯავახიშვილი, ივანე. *ქართველი ერის ისტორია,* IV, თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1948.
17. „XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ“, *საქართველოს ისტორიის წყაროები*, 26, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, გამომცემლობა ,,მეცნიერება“ (1981): 5-10
18. Бартольд, Василий Владимирович. *Ислам на Черном море*, Соб. соч. т. VI, Москва: Издательство “Наука”, 1966.
19. Гвасалия, Джондо. „Еще об одном названии Черного моря“, *მაცნე*, 3 (1987), 205-212.
20. Марр, Николай Яковлевич. Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме в поездку 1902 г. Сообщ. Палест. общ. т. XIV, ч. II, Санкт-Петербург, 1903.
21. Gabashvili Manana.The Historical mission of Svetitshoveli and Georgia. *Religion and Public Life*, David Muskelishvili editor. Ed. Nova (2021): 97-106.